585
964/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 17 (250) 20 ივნისი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

298. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლატვიის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

299. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

#### განყოფილება მეორე

300. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. თ. იგნატოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

301. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელორუსიის სსრ ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის შემოქმედებითი მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

302. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ვ. ა. ბელის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

303. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლეიტენანტ ი. ი. იგნატენკოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

304. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ტოდორ პავლოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

305. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოეტ ა. ა. ყაროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

306. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

307. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. ვ. ტანანაევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

9367
...ბის საზ. საჯ. საბიბლ... რესპუბლიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

## ᲜᲐᲬᲘᲚᲘ II

### ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

308. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. ნაზარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 298 ლატვიის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1964 წლის 1 ივნისიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 ივნისი.

№ 2576-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 12 ივნისის ბრძანებულებისა „ლატვიის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

## ნ უ ს ხ ა

### სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. ის ნაწილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულებისა „ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის დროებითი გამოყენების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წ., № 46), რომელიც ეხება რსფსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების გამოყენებას.

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

8. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღ-

მუხ. 298/
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ.,№ 16, მუხ. 284).

9. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 299 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

მოწვეულ იქნეს სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1964 წლის 13 ივლისს ქალაქ მოსკოვში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 ივნისი.
№ 2585-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 300 ამხ. ნ. თ. იგნატოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ორიოლის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ნიკოლოზ თევდორეს ძე **იგნატოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ივნისი.
№ 2537-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 301 ბელორუსიის სსრ ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის შემოქმედებითი მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება:

თამარ ნიკოლოზის ასულ **ნიჟნიკოვას** — ოპერის სოლისტს.

ნინელი ალექსანდრეს ასულ **ტკაჩენკოს** — ოპერის სოლისტს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ივნისი.
№ 2538-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 302 კომპოზიტორ ვ. ა. ბელის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი ვიქტორ არონის ძე ბელი დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი 1964 წლის 3 ივნისი.
№ 2539-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 303 ლეიტენანტ ი. ი. იგნატენკოვის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხულიგნებთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის ლეიტენანტი ივანე ილიას ძე **იგნატენკოვი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის".**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 ივნისი.
№ 2542-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 304 აკადემიკოს ტოდორ პავლოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის განმტკიცების მიზნით გაწეული მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და მშვიდობის დაცვის მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი აკადემიკოსი **ტოდორ პავლოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 ივნისი.
№ 2543-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 305 პოეტ ა. ა. ჟაროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პოეზიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პოეტი ალექსანდრე ალექსის ძე **ჟაროვი** დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 8 ივნისი.

№ 2544-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 306 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი და მეტი შვილი:

1. მარალ მაგამედ ყზი **ალახვერდიევას** — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი თაზაქენდი.
2. გალინა ივანეს ასულ **ამელინას** — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ ქალაქი გაგრა.
3. საკინე მურსალ ყზი **გულიევას** — არაფლოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ბოლნისის რაიონი.
4. მარუსა კონსტანტინეს ასულ **ჟვანიას** — დიასახლისს, გეგეჭკორის რაიონის სოფელი დოშაყე.
5. მარიამ ბახას ასულ **მაჩხოშვილ-ბუთხაშვილს** — ვაჟა-ფშაველას სახ. კოლმეურნეობის წევრს, დუშეთის რაიონი.
6. ნარგიზ მირზალი ყზი **სულეიმანოვას** — ყარაღანის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ბოლნისის რაიონი.
7. ლოლა დავითის ასულ **ჭედიას** — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის დაბა ხობი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 ივნისი.

№ 2577-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 307 აკადემიკოს ი. ვ. ტანანაევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქიმიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივანე ვლადიმერის ძე **ტანანაევი** დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 ივნისი.

№ 2586-VI.

## განყოფილება მესამე

### ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

### აზერბაიჯანის სსრ

**ზოგიერთი რაიონისა და დაბის გადარქმევა**

რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავის აღსანიშნავად აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 26 მაისის ბრძანებულებით:

ა) ასტრახან-ბაზარის რაიონს დაერქვა **პუშკინის** რაიონი.

ბ) ქალაქ ბაქოს ორჯონიკიძის რაიონის დაბა ყარაჩუხურს დაერქვა დაბა **სერებროვსკი**, ხოლო ყარაჩუხურის სადაბო საბჭოს — **სერებროვსკის** სადაბო საბჭო.

გ) დამტკიცდა ნორაშენის რაიონის ილიჩოვსკის რაიონად და დაბა ნორაშენის დაბა **ილიჩოვსკად** გადარქმევა, რაც მოხდა ნახჭევანის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

### მოლდავეთის სსრ

**ბრატუშანის შაქრის ქარხნის დასახლებული პუნქტის დაბის კატეგორიისათვის მიკუთვნება**

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით ედინცის რაიონის ბრატუშანის შაქრის ქარხნის დასახლებული პუნქტი განეკუთვნა დაბის კატეგორიას, მას დაერქვა **კალინინსკი**.

**ადმინისტრაციული დაქვემდებარების შეცვლა**

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით ტირასპოლის რაიონის დაბა დნესტროვსკი ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ტირასპოლის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო **საბჭოს**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 308 ამხ. გ. პ. ნაზარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გიორგი პეტრეს ძე **ნაზარიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 12 ივნისი.